მულტირელიგიური საქართველო

,,ტოლერანტობა საუკეთესო რელიგიაა", - წერს ფრანგი რომანტიკოსი მწერალი ვიქტორ ჰიუგო. თვალს ხუჭავ, ფიქრობ რა არის შემდეგ, ამ ცხოვრების დასასრულის დასაწყისი და მთელ შენს ფანტაზიას იქაური ყოფის წარმოდგენაზე მიმართავ, ხედავ, რომ იქ სრულყოფილებაა, კანონზომიერება და თანასწორობაა. ურწმუნო ადამიანი არ არსებობს, გასაგებია, რომ ,,ურწმუნო თომას" ფრაზეოლოგიზმი ჩვენი მოგონილია, თუმცა ეს შეიძლება ცალკეულ შემთხვევებზე ითქვას. ათეისტიც თავისებურად მორწმუნეა. მას არ სწამს ღმერთის, ესე იგი სჯერა, რომ უფალი ამქვეყნად არაა ყველაფრის შემქმნელი. მსოფლიოში უამრავი სარწმუნოებაა, ასეულობით ომი ახსოვს კაცობრიობას რელიგიურ ნიადაგზე წამოწყებული. ,,ჯვაროსანთა ლაშქრობები" პაპმა ურბან მეორემ სწორედ რწმენის საფუძველზე წამოიწყო, სამსაუკუნოვანი ომი წმინდა ქალაქის გათავისუფლებისათვის. მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილი ქართველებმაც გამოთქვეს, რადგან თავიანთი სარწმუნოების სხვების მიერ შებღალვას ვერ აიტანდნენ(ეს ოფიციალური მიზეზი, ცხადია ამას პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა). საუბარი ტოლერანტულ მსოფლიოზე დღეს უფრო სერიოზულია, ვიდრე უწინ. შუასაუკუნეების ნებისმიერი მრწამსის წარმომადგენლისთვის რომ გეთქვათ მულტირელიგიურ სახელმწიფოში ვცხოვრობო, უეჭველად დაგცინებდათ. საქართველო საოცარი ქვეყანაა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით. უამრავი გასაჭირი გამოგვივლია, რაც დაგვეხმარა მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებაში სწორედ ჩვენმა ვარამმა შეგვაქმნევინა დღეს ის სახელმწიფო, რომელსაც სიამაყით ვიხსენებთ, როგორ ტოლერანტობის თვალსაჩინო მაგალითს.

ისტორია საოცარი ფენომენია, ყველაფერს აზრს სწორედ წარსული აძლევს. წაუშალეთ ადამიანს მეხსიერება და ნახავთ, რომ იგი სხვა პიროვნებად გარდაიქმნება. სწორედ ამიტომ მსურს ამ საკითხს წარსულიდან მოვუყვე. ძვ.წ 539 წელს კიროს მეორემ (აქემენიდთა ირანის მეფე ძვ.წ 558-530 წლებში) ბაბილონი დაიკავა. მეფემ ბაბილონის მთავარ ღვთაებას-მარდუქს, ტაძარში მსხვერპლი შესწირა და ქალაქის მცხოვრებლებს მშვიდობას და ხელშეუხებლობას დაპირდა. იძულებით გადასახლებულ მოსახლეობას ნება დართო, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, მათ შორის, ებრაელები და მათ სახელმწიფო სახსრები გამოუყო იერუსალიმის ტაძრის აღსადგენად. ამის გამო ბიბლიაში არცერთ არაებრაელ მართველს არ მიუღია ისეთი პატივი, როგორიც კიროსს. მისი ეს გადაწყვეტილება იმპერიის ფარგლებში ,, რელიგიური ავტონომიის" შემოღების, პირველი ნიმუშია კაცობრიობის ისტორიაში. ,,როდესაც ვინმეს შევხვდები, არ მაინტერესებს ის თეთრია, შავია, ებრაელია თუ მუსლიმი. ჩემთვის საკმარისია ვიცოდე, რომ ის ადამიანია." - წერს ამერიკელი მწერალი უოლტ უილტმენი. რელიგიური მიმღებლობა საქართველოს ისტორიაში არაერთხელ შეგხვდებათ და თუ ამ თემაზე უნდა ვისაუბრო შეუძლებელია არ ვახსენო რაბათი, ერთადერთი უბანი, სადაც კათოლიკეს, ებრაელებს, სომხებს, მართლმადიდებლებსა და მაჰმადიანებს საკუთარი სალოცავები აქვთ. ვინმე დაიჩივლებს,რომ ქართვლებმა ებრაელები არ მივიღეთ, ანდაც საოცარი არ არის ის ფაქტი, როცა თბილისში ერთ კვადრატულ კილომეტრზე უამრავი სხვადასხვა რელიგიის საკულტო ნაგებობაა, თუნდაც ის, რომ საქართველოში შიიტი და სუნიტი მუსლიმები ერთ მეჩეთში ლოცულობენ. ყველაფერი ეს ტოლერანტობის ნათელი და მკაფიო გამოვლინებაა და სასიხარულოა, რომ საქართველო ამ ამბებს ერთ ქსელში აერთიანებს. პირადად, ჩემი საყვარელი ისტორიული პირი არა ქართველი, არა ქრისტიანი, არამედ მუსლიმანი, სუნიტი, თათარი სალაჰ-ად დინია, ევროპაში ცნობილი როგორ

სალადინი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქრისტიანებს ებრძოდა მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში, შეუძლებელია მისი შემწყნარებლობა არ დაინახო უიარაღო ქრისტეს მიმდევრების მიმართ. ფილმში ,,ზეციური სამეფო" კარგად ჩანს, მისი დამოკიდებულება, როდესაც აღებული იერუსალიმიდან გაუშვებს უდანაშაულო ხალხს და კადრი, როდესაც იგი მოოქროვილ, გადაყირავებულ ჯვარს კოცნის და თავის ადგილას დებს. ტოლერანტობაა იცავდეს სხვისას და იბრძოდე მისთვის. ვაჟა-ფშაველას პოემაში ,,სტუმარ-მასპინძელი" ვხვდებით ხევსური ზვიადაურისა და ქისტი ჯოყოლას ურთიერთდამოკიდებულებას. მიუხედავად განსხვავებული რელიგიისა ისინი დაძმობილდებიან. ჯოყოლასთვის ყოველი ადამიანი მისი ეროვნების და სარწმუნოების მიუხედავად, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ადამიანია. მიუხედავად ყველაფრისა მისი შემწყნარებლობა თავისი სტუმრის მიმართ გასაოცარია. „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, მითამც მე ვერ ვუღალატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა."

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თანასწორობის იდეა არ არის ახლად წარმოშობილი ცნება. იგი ჩვენი ისტორიული არჩევანია, რაზეც მიუთითებს მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწის, წმინდანის, ილია მართლის ნააზრევი: ,, ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონებაგახსნილ კაცისაგან." ქართველ კაცს ყოველთვის კარგად ესმოდა შემწყნარებლობის აუცილებლობა და თანასწორობის პრინციპების დაცვის აუცილებლობა.

ამრიგად, საქართელო მულტირელიგიური ქვეყანაა, რომელიც მაგალითს აძლევს სხვა თავისზე უფრო დიდ და განვითარებულ ქვეყნებსაც. უწინ ერთ ბრძენს უთქვამს: "მე არ ვიზიარებ შენს აზრს, მაგრამ მზად ვარ მოვკდე იმისთვის, რომ შენ მისი გამოთქმის უფლება გქონდეს". მიმაჩნია, რომ სწორედ ესაა ტოლერანტობის მთავარი მცნება, ამოსავალი და დასავალიც, იბრძოლო იმისთვის რაც შენს კეთილდღეობას არ სწადია, მაგრამ სხვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ,,არ მომწონს სიტყვა ტოლერანტობა, მაგრამ უკეთესს ვერ ვპოულობ. სიყვარული გიბიძგებთ, რომ სხვათა რწმენისკენაც გქონდეთ იგივე პატივისცემა, რაც საკუთარი თავის მიმართ გაქვთ",- წერს მაჰათმა განდი. მთავარია ადამიანმა დაინახოს სხვათა მრწასისადმი შემწყნარებლობისა და პატივისცემის აუცილებლობად, ამის დანახვაში კი განათლება გვეხმარება. საოცარმა ამერიკელმა ქალბატონმა, პოლიტიკოსმა ჰელენ კელერმა თქვა: ,,განათლების უმთავრესი შედეგი ტოლერანტობაა." სწორედ განათლებით შეგიძლია გაიაზრო ტოლერანტობის არსი და გაიგო მისი მრწამსი. ქართველებს ბოლომდე არ გვესმის მულტირელიგიური ქვეყნის მნიშვნელობა, თუმცა ჩვენში ეს ტრადიცია ნელ-ნელა უფრო მეტად იდგამს ფესვებს, რაც ქვეყანას განვითარების სწორ გზაზე აყენებს.

სახელი: ზვიადი

გვარი: ქაძანაია

სკოლა: ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის #1 საჯარო სკოლა

კლასი: 12ა